

2017 წელი

აგრომეტეოროლოგიური ბიულეტენი

№35 დეკემბრის მეორე დეკადა



გარემოს ეროვნული სააგენტო

დეკადის ძირითადი მეტეოროლოგიური თავისებურებანი	2
სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა განვითარებისა და მიწის დეგრადაციის აგრომეტეოროლოგიური პირობები	2
2017 წლის დეკემბრის მეორე დეკადის მეტეოროლოგიური მონაცემები	3
აღმოსავლეთ საქართველო.....	4
დასავლეთ საქართველო	13

დეკადის ძირითადი მეტეოროლოგიური თავისებურებანი

დეკემბრის მეორე დეკადა ქვეყნის ტერიტორიაზე თბილი და მცირენალექიანი ამინდით ხასიათდებოდა.

ჰაერის საშუალო დეკადური ტემპერატურა მრავალწლიურ მაჩვენებელთან შედარებით $2-4^{\circ}$ -ით მაღალი აღმოჩნდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გარდა შიდა ქართლისა (გორის) და მესხეთ-ჯავახეთისა (ახალციხე, ახალქალაქი), სადაც ის ნორმაზე 1° -ით დაბალი იყო და შეადგინა: $4-11^{\circ}$ დასავლეთ საქართველოში, $1-6^{\circ}$ აღმოსავლეთ საქართველოს ბარში, $2; -3^{\circ}$ აღმოსავლეთ საქართველოს მთიან და მაღალმთიან რაიონებში.

ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში $12-22^{\circ}$, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში $11-15^{\circ}$, აღმოსავლეთ საქართველოს მთიან და მაღალმთიან რაიონებში $7-13^{\circ}$ -ის ფარგლებში მერყეობდა.

ჰაერის მინიმალური ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში $-1; 4^{\circ}$, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში $0; -6^{\circ}$, აღმოსავლეთ საქართველოს მთიან და მაღალმთიან რაიონებში $-7, -12^{\circ}$ -ის შუალედში ფიქსირდებოდა.

ნალექები განვლილ დეკადაში 1-3 დღის განმავლობაში მოდიოდა მათი ჯამი ასე განაწილდა: 2-12 მმ (მრავალწლიური ნორმის 5-19%) დასავლეთ საქართველოში; 1მმ (მრავალწლიური ნორმის 7-17%) აღმოსავლეთ საქართველოში.

ძლიერი ქარი (15 მ/წმ და მეტი სიჩქარით) ქროდა 1-4 დღის განმავლობაში ქვეყნის ცალკეულ რაიონში.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზამთრობისა და მინდვრის სამუშაოების ჩატარების აგრომეტეოროლოგიური პირობები

დასავლეთ საქართველოში განვლილი დეკადის აგრომეტეოროლოგიური პირობები ხელსაყრელი იყო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩასატარებლად.

აღმოსავლეთ საქართველოში თოვლის საფარის გარეშე დარჩენილი საშემოდგომო მარცვლეულზე უარყოფითად იმოქმედებდა დადიქსირებული უარყოფითი ტემპერატურა. მინდვრის სამუშაოების ჩასატარებლად ხელსაყრელი პირობები იყო.

მთიან ზონაში დაფიქსირებული ყინვა უარყოფითად იმოქმედებდა საშემოდგომო მარცვლეულის ნათესებზე, რადგან თოვლის საფარის არ არის.

აღმოსავლეთ საქართველოს ზამთრის სამოვრებზე საქონლის შენახვისათვის კარგი პირობები იყო.







2017 წლის დეკემბრის მეორე დეკადის მეტეოროლოგიური მონაცემები



სადგური	ჰაერის ტემპერატურა C°				მინიმალური ტემპერატურა ნიადაგის ზედაპირზე	ნალექები			ნალექიან დღეთა რიცხვი		დღეთა რიცხვი ქარით 15 მ/წმ და მეტი სიჩქარით	ჰაერის საშუალო დეკადური შეფარდებითი ტენიანობა, %	თოვლის აფარის სიმაღლე, სმ
	საშუალო დეკადური	გადახრა ნორმიდან	მაქსიმალური	მინიმალური		რაოდენობა მმ	რაოდენობა ნორმიდან %-ში	დღელამური მაქსიმუმი	1 მმ და მეტი	5 მმ და მეტი			
ქობულეთი	9,4	-	17	1		12	16	10	2	1			
ხულო	7,0	3,4	15	-1		2	5	1	2	1			
ზუგდიდი	9,4	2,7	22	1		9	19	5	3		4	59	
ქუთაისი	10,9	3,2	19	4	2								
ზესტაფონი	8,9	3,2	20	1		4	9	4	1				
საჩხერე	4,8	2,9	18	-1		4	13	2	3				
ამბროლაური	4,0	2,6	12	-1		5	18	2	3				
ხაშური(აგარა)	1,1	1,3	11	-6									
გორი	1,6	-0,6	13	-6	-8							82	
თიანეთი	1,4	3,5	11	-9									
ფასანაური	1,2	2,3	10	-7		1	7	1					
თბილისი	4,3	1,5	13	-2	-6							80	
საგარეჯო	4,3	2,3	15	-3									
დედოფლისწყარო	4,6	4,1	11	-3									
თელავი	5,0	2,5	16	-1									
ყვარელი	5,1	2,2	14	-2									
ლაგოდეხი	6,3	3,5	15	0									
ბოლნისი	4,8	2,5	13	-3	-5						1	55	
ახალციხე	-1,9	-0,7	9	-10	-13	1	10	1				82	
წალკა	2,0	4,4	13	-9		1	17	1					
ახალქალაქი	-2,6	-1,4	7	-12		1	14	1					







აღმოსავლეთ საქართველო







































დასავლეთ საქართველო














NDVI (Normalized Difference Vegetation Index) - მცენარეულობის ნორმალიზებული შეფარდებითი ინდექსი, ეს არის ფოტოსინთეზურად აქტიური ბიომასის მარტივი რაოდენობითი მაჩვენებელი (ჩვეულებრივ მას უწოდებენ სპეგეტაციო ინდექსს).

აღნიშნული ინდექსი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ინდექსს და გამოიყენება მცენარეული საფარის რაოდენობრივი შეფასებისთვის.

ობიექტის ტიპი	NDVI-ის მნიშვნელობა
მჭიდრო მცენარეული საფარი	0.7
მეჩხერი მცენარეულობა	0.5
ნიადაგის მოშისფლებული ზედაპირი	0.025
ღრუბლები	0
თოვლი და ყინული	-0.05
წყალი	-0.25
ხელოვნური მასალები (ბეტონი, ასფალტი)	-0.5